Lasha Mgeladze
E-mail: Mgeladzee@yahoo.com
Master, Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Georgia
https://orcid.org/0009-0005-2445-2567

THE ECONOMIC PROSPECTS OF SOME ADJARA TOURISM INFRASTRUCTURE LOCATIONS

Abstract: *The present work discusses basic characteristics of economic potential of some Adjara tourism infrastructure locations, as well as prospect economic views connected to tourism industry. Besides, it envisages certain issues of Adjara tourism infrastructure development, their solutions and general economic strategies, its impact on socio-economic, ecological and demographic problems of region population, in particular, focus is on those basic tourism locations, the economic potential of which has positive reflect on socio-economic life of region population. The given Article gives proper conclusions in which Author's views are established about Adjara tourism development issues and capacities.*

Keywords: *Idnustry, Infrastructure, Location, Transformation, Capabilities*

JEL classification: *R1, R3*

ლაშა მგელაძე
E-mail: Mgeladzee@yahoo.com
მაგისტრი, ბათუმის შოთა
რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბათუმი, საქართველო
https://orcid.org/0009-0005-2445-2567

აჭარის ტურისტული ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ლოკაციის ეკონომიკური პერსპექტივები

აბსტრაქტი: *სტატიაში განხილულია აჭარის ტურისტული ინფრასტრუქტურის ზოგიერთი ადგილმდებარეობის ეკონომიკური პოტენციალის ძირითადი მახასიათებლები, ტურისტულ ინდუსტრიასთან დაკავშირებული პერსპექტიული ეკონომიკური ხედვები. წარმოჩენილია აჭარის ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ცალკეული პრობლემური საკითხები, მათი გადაწყვეტის გზები და ზოგადი ეკონომიკური სტრატეგიები, მათი გავლენა რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ და დემოგრაფიულ პირობებზე, კერძოდ ორიენტაცია აღებულია იმ ძირითად ტურისტულ ლოკაციებზე, რომლის ეკონო-*

მიკური პოტენციალი რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე პოზიტიურად აისახება. სტატიაში წარმოდგენილია შესაბამისი დასკვნები, რომლებშიც ჩამოყალიბებულია ავტორის შეხედულებები აჭარაში ტურიზმის განვითარების პრობლემებისა და შესაძლებლობების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: *ინდუსტრია, ინფრასტრუქტურა, ლოკაცია, ტრანსფორმაცია, შესაძლებლობები.*

JEL კლასიფიკაცია: *R1, R3*

აჭარის ტურისტული ინფრასტრუქტურის ეკონომიკური პოტენციალი

შესავალი: ტურიზმი ადამიანთა დასვენების, თავისუფალი დროის ხარჯვისა თუ ბიზნეს მიზნებით მოგზაურობაა, ტურისტული ლოკაცია კი ის მიმზიდველი ადგილია, რომლის გამოც ტურისტები თავის ჩვეულ გარემოს ტოვებს და მის მოსანახულებლად მიემგზავრება, შესაბამისად, ეკონომიკური თვალსაზრისით ტურისტული ინდუსტრიის განვითარება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, რადგან იგი დამატებითი სოლიდური შემოსავლების წყაროა, რაც მოსახლეობის კეთილდღეობაზე პოზიტიურად აისახება. ამიტომ, ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე განსაკუთრებით ზრუნავს ისეთი ქვეყნები, რომლებიც ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით, ისტორიული წარსულითა და კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩევა (World Tourism Barometer, 2008). გეოგრაფიული გარემო და ბუნებრივი პირობები (ზღვა, მთისწინა ზოლი, მთა, მაღალმთიანეთი, მინერალური და სამკურნალო წყლების სიუხვე) მდინარეზე სანაოსნო, სათხილამურო, მათ შორის, სამონადირეო სეზონური ტურიზმის ბუნებასა და ტურიზმის სხვა სახეობებსაც განსაზღვრავს. საქართველოში ტურისტული ინდუსტრიის სწრაფმა განვითარებამ განაპირობა მის მიმართ მზარდი ინტერესი, რაზეც ამ ბოლო ხანებში გამოქვეყნებული სამეცნიერო პუბლიკაციები და დაცული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დისერტაციებიც მეტყველებს (Metreveli, 2001; Shubladze, 2004; Bregadze, 2018; Barbakadze, 2019). სამეცნიერო ლიტერატურას შორის პრიორიტეტული მაინც ტურიზმის ეკონომიკური მხარეა (Kvaratskhelia, 2007; Korghanashvili, 2010; Erkomaishvili, 2010; Meskhia, 2011; Gvelesiani, 2011; Gulua. Arghutashvili, 2012; Margvelashvili, 2013; Khokhobaia, 2014).

მსოფლიოს ტურისტურულ კერებს შორის ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყნად საქართველო ჩამოყალიბდა, საქართველოს კუთხეებს შორის კი – აჭარა. აჭარის რეგიონში ტურიზმის განვითარების ეკონომიკურ შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კეთილმოწყობილი ტურისტული ინფრასტრუქტურა, სწორი სატრანსპორტო პოლიტიკა, ბათუმის საზღვაო ნავსადგური, საზღვაო-საკრუიზო და სამდინარო ტუ-

რიზმი, ქალაქ ბათუმის ისტორიული და თანამედროვე განაშენიანება, მთიან რეგიონებში სათემო დასახლებებისა და სამთო-სათხილამურო სივრცის განვითარება. ტურიზმის ეკონომიკური პოტენციალის განვითარების შესაძლებლობას წარმოადგენს რეგიონში არსებული საერთაშორისო მნიშვნელობის დაცული ტერიტორიები: მტირალას ეროვნული პარკი, მაჭახელას ეროვნული პარკი, ბოტანიკური ბაღი, ადგილობრივი მნიშვნელობის – ქობულეთისა და კინტრიშის დაცული ტერიტორიები, გოდერძის უღელტეხილის ტყიან ზონაში არსებული ძველი და უძველესი ნამოსახლარები, ნამარხი ტყის უნიკალური გარემო, აჭარის მთისა და ბარის ადგილები, სადაც სრულიად განსხვავებული კლიმატური და ლანდშაფტური ზონების მცენარეთა სახეობებიცაა წარმოდგენილი.

ტურიზმი აჭარის ერთ-ერთი პრიორიტეტული სექტორია, რომელსაც ეკონომიკაში მაღალი პოტენციალი გააჩნია. ტურიზმი დადებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკაზე მხოლოდ მაშინ, როცა ის ყოველმხრივ ვითარდება. ტურიზმის ეკონომიკური ეფექტიანობა უმეტესწილად დამოკიდებულია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან. 2022 წელს ბათუმმა ორი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. ევროპის ჯილდოს „World Travel Awards”-ის მოპოვების შემდეგ, ტურიზმის „ოსკარი” უკვე, როგორც მსოფლიოს სწრაფად მზარდმა ტურისტულმა მიმართულებამ მოიპოვა. 2023 წელს ბათუმში ტურიზმის ოსკარად წოდებული – „World Travel Awards”-ის დაჯილდოვება გაიმართა.

ტურიზმის მნიშვნელობასა და პოტენციალზე საუბრისას ბუნებრივია უპირველესად ყურადღება უნდა გამახვილდეს აჭარაში ტურიზმის ინფრასტრუქტურის ეკონომიკურ მხარეზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის მონაცემებით, შიდა და უცხოელი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების რაოდენობა აჭარის რეგიონში **4 691 633** შეადგენდა, რაც 2022 წელთან შედარებით 20%-ით არის გაზრდილი. 2024 წელს აჭარაში საერთაშორისო მოგზაურების მზარდი დინამიკა ფიქსირდება. პირველი კვარტლის მონაცემებით რეგიონში **363 021** ვიზიტი განხორციელდა, რაც +8,7%-ით აღემატება გასული წლის ანალოგიურ პერიოდს.



ქალაქ ბათუმის ისტორიული პორტრეტი:
ბათუმის ისტორიული და თანამედროვე განაშენიანება

საერო და საკულტო ნაგებობების დანიშნულებისა და არქიტექტურული იერსახის მოკლე დახასიათება: ბათუმი საქართველოს ქალაქებს შორის ერთ-ერთი უძველესი ქალაქია, რომელიც წერილობითი წყაროების მიხედვით ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაფუძნდა, სავარაუდოდ, ახლანდელი ყოროლისწყალის ზღვასთან შეერთების მიმდებარე ტერიტორიაზე. დროთა განმავლობაში ქალაქის ცენტრმა ზღვისპირა ყურეს მიმართულებით გადაინაცვლა (Kakhidze, 2009:146-152; Mamuladze, Uzunadze, 2009:158-165; Braund, 2012:219-228). წარსულში ბათუმის განვითარებას ის ფაქტორიც განაპირობებდა, რომ იგი „აბრეშუმის გზაზე" ერთ-ერთი დასახლებული პუნქტი იყო, შესაბამისად, მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა (Gogolishvili, 2009:96-99; Uzunadze, 2009: 59-64). ქალაქი იმდენად მდიდარი იყო, რომ 1445 წელს ბურგუნდიელებს ქალაქის გაძარცვის სურვილიც კი გაუჩინა (Baramidze, 2016:261). ბათუმში თანმიმდევრულად გამოჩნდა ევროპის წამყვანი ქვეყნების კორპორაციებიც, რასაც შედეგად რიგი საკონსულოს გახსნა მოჰყვა. XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იმდროინდელი ევროპული ქალაქების განაშენიანების მსგავსად ბათუმის ქალაქმშენებლობითი პარამეტრები განისაზღვრა, რომელიც დაფუძნებული იყო რეგულარული, პარალელურ-პერპენდიკალური ქუჩების ქსელით. შემდეგში ამ დაგეგმარებაში რიგი ცვლილება განხორციელდა, რამაც თანამედროვე ბათუმის იერსახე განსაზღვრა (Tchitchileishvili, 2009:266-275; Mgeladze, Tchitchileishvili, 2010;[1] 2010[2];; Tchitchileishvili, 2013:262-268).

ბათუმში არაერთი არქიტექტურულად მიმზიდველი შენობა აიგო, მათ შორის რელიგიური ნაგებობები, რომელთა დიდი ნაწილი დღემდე შემორჩა ქალაქის დასახლებას, რაც რელიგიური თუ პილიგრიმული ტურიზმის განსანვითარებლად შესაშურ ბაზას წარმოადგენს. დღეს ქალაქში მისი ისტორიის მანძილზე არსებული საკულტო ნაგებობების რეესტრი დაახლოებით ასე გამოიყურება (Mgeladze, Putkaradze,2008:80-88; Mgeladze, Loria, 2009:190-199; Tchitchileishvili, 2013:302-309; 2016:275-280; 2016:63-82).

- წმიდა ნიკოლოზის ეკლესია, რომელიც ფარნავაზ მეფის ქუჩაზე, №20-ში მდებარეობს;
- ქართული მართლმადიდებლური ეკლესია დღევანდელი ზურაბ გორგილაძისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში მდებარეობდა. შემორჩენილია ამ ნაგებობის ერთადერთი ფოტო;
- ზღვისპირა პარკის მონუმენტური გუმბათოვანი მართლმადიდებლური ტაძარი საბჭოთა პერიოდში დაინგრა და მის ადგილზე 1932 წელს სასტუმრო „ინტურისტი" აშენდა. დღეს ახალი რეკონსტრუირებული ნაგებობა ნინოშვილის ქუჩაზე მდებარეობს;

- ბაზილიკური ტიპის წმიდა ბარბარეს რესტავრირებული ეკლესია;
- აბატი პეტრე ხარისჭარაშვილის იდეის საფუძველზე, მამა ანსელმო მღებრიშვილის, კათოლიკური მრევლის თანადგომითა და ზუბალაშვილების ქველმოქმედი ოჯახის შემწეობით ფსევდო გოთური სტილის ქვითკირით ნაგები ბათუმის კათოლიკური ტაძარი, როგორც მაღალი ღირებულების არქიტექტურული ძეგლი, საბჭოთა ხელისუფლების შემდეგ კულტურის ცენტრად გადაკეთდა, ხოლო სულ მალე – 1989 წელს განახლდა და 1992 წელს მართლმადიდებლურ მრევლს გადაეცა, დიმიტრი თავდადებულის ქუჩაზე, №53-ში მდებარეობს;
- გუმბათოვანი, კონუსური ფორმის სახურავიანი ეკლესია დღევანდელი კონსტანტინე გამსახურდიასა და ვახტანგ გორგასლის ქუჩების კუთხეში მდებარეობს;
- ავსტრიელი არქიტექტორის მარფელდის პროექტითა და მსხვილი მეწარმის მანთაშევის შემოწირულობებით 1890 წელს აგებული სომხური გრიგორიანული „სურბ-პრიცკის" ეკლესია, რომლის მსგავსი პროექტის ეკლესია პარიზის ერთ-ერთ ქუჩასაც ამშვენებს, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარეობს;
- ახლადაგებული კათოლიკური ეკლესია, რომელიც ბათუმში მცხოვრები კათოლიკური მრევლის მოთხოვნითა და რომის პაპის მხარდაჭერით აშენდა, ბაქოსა და შავშეთის ქუჩების კვეთაშია მოთავსებული;
- ბათუმის აშქენაზ და სეფარიდ ებრაელთა სამლოცველო – სინაგოგა, რომელიც 1904 წელს ბათუმელი არქიტექტორის სიმონ ვოლკოვიჩის პროექტით აშენდა, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე, №33-ში მდებარეობს;
- ორთა ჯამე (ახმედ ფაშას ჯამე) და მუფთიეს ჯამე.

წარსულში ბათუმისადმი ევროპის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური ინ-ტერესი დღითიდღე იზრდებოდა. ძველი ბათუმი უბნებად იყო დაყოფილი. ქალაქის მოსახლეობის მეხსიერებას დღემდე შემორჩა ბათუმის ძველი უბნების სახელწოდე-ბები, რომელთა ფაქტობრივი არსებობა საარქივო წყაროებითაც დასტურდება. მათგან უნდა გამოიყოს „ნურიეს უბანი", „ურუმთა უბანი", „ჭაობი", „მანთაშევი", „ბერეგი", „პარკი", „პივზოვოდი", „არდაგანი", „სტეფანოვკა", „ხოფა", რომელთა სახელწოდებებ-ში მისდროინდელი ისტორიული შინაარსია ჩადებული. დღეს ბათუმის ამ ისტორი-ულ უბნებში არაერთი ნაგებობაა, რომელთაც უკვე კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი აქვთ მინიჭებული. ქალაქი სწრაფად შენდებოდა და იცვლიდა იერსახეს. არქიტექტურაში გაჩნდა ნეოკლასიკური სტილის შენობები. ინგლისური ქალაქების მსგავსად გაყვანილი იქნა სწორი მოკირწყლული ქუჩები, დაინერგა და განვითარდა ცივილიზაციის მონაპოვრები: რკინიგზა, ფოსტა. აშენდა საავადმყოფო. ბათუმმა მო-კლე დროში ევროპული ქალაქის იერსახის მიღება დაიწყო (Mgeladze, Tchitchileishvili, 2010).

თანამედროვე პერიოდში მიმზიდველი ძველი უბნების წიაღში ბათუმი სწრაფად იცვლება, რაც ურბანული პროცესების თანმხლები მოვლენა და გარდაუვალი

პროცესია. ქალაქის ძველ უბნებსა და ადრე აუთვისებელ ადგილებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობს მაღლივი შენობების, ძირითადად, სასტუმროებისა და საცხოვრებელი სახლების მშენებლობა, რაც ქალაქს მჭიდროდ დასახლებულ პუნქტად აყალიბებს და რიგ შემთხვევაში, სავენტილაციო სივრცეს ახშობს. ეს კი ქალაქის დაგეგმარების პროცესში არქიტექტურული განაშეშენიანებისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას მოითხოვს. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტში დღეს გაცემული სამშენებლო ნებართვების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მშენებლობის სექტორი მაღალი ზრდის ტემპით ხასიათდება. წლების მიხედვით გაცემული სამშენებლო ნებართვების მონაცემები ასეთია: 2022 წელს გაცემულია **651** სამშენებლო ნებართვა, **701689** კვ.მ. ფართობზე, 2023 წელს - 712 სამშენებლო ნებართვა, **752222** კვ.მ. ფართობზე და 2024 წლის I კვარტალის მონაცემებით გაცემულია **185** სამშენებლო ნებართვა, **383928** კვ.მ. ფართობზე.



თანამედროვე ბათუმს მაღალგანვითარებული ტურისტული ინფრასტრუქტურა გააჩნია, რაც მას უცხოელი სტუმრებისათვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. თანამედროვე ბათუმის ფეშენებელური სასტუმროები – „Sheraton”-ი, „Radison"-ი და „Hilton”-ი თავისი ორიგინალური დიზაინით შორიდანვე იპყრობს ყურადღებას. მშენებლობის სექტორი შეგვიძლია ტურიზმისთვის განთავსების ადგილების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომწოდებლად განვიხილოთ. ამ კუთხით განსაკუთრებით აღსანიშნავია სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი ბინების, ე. წ. აპარტოტელების მშენებლობის აქტიური ტენდენცია. აჭარა უძველესი დროიდან ცნობილი იყო სავაჭრო-სატრანზიტო გზებითა და შესაბამისი მომსახურებით. ძველი ტრადიციები დღესაც გაგრძელებას პოულობს. სწორედ აქედან იღებს სათავეს ჩვენში სასტუმროების ტიპის სახლების მშენებლობა. მართლაც, დღეს წარმოუდგენელია დასასვენებელი ადგილები

მოგზაურთა მომსახურებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის გარეშე. აჭარაში ტურისტული ინდუსტრიის სფეროში რამდენიმე მნიშვნელოვანი ლოკაციის გამოყოფა შეიძლება, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია.

ბათუმის საზღვაო ნავსადგური: ბათუმის საკრუიზო ტურიზმი

აჭარაში ტურიზმის განვითარების დონეს ზღვისპირა მდებარეობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, რომელიც არა მარტო ტურიზმის მიმართულებით არის მნიშვნელოვანი, არამედ რეგიონის ეკონომიკაში ტრანსპორტის, განსაკუთრებით საზღვაო ტრანსპორტის მნიშვნელოვან წილსაც განაპირობებს. სატრანსპორტო ქსელიდან ბათუმის საპორტო ნავსადგური უნდა გამოიყოს, რომლის თანამედროვე სახით ფორმირებას ისტორიული წანამძღვრები გააჩნდა.

ბათუმში საზღვაო ტრანსპორტი XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან მნიშვნელოვნად დაწინაურდა, რაც ბუნებრივი მდებარეობის გარდა, ბათუმის ნავსადგურის კეთილმოწყობამ განაპირობა (Uzunadze, 2008:209-223). ამ პერიოდიდან სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტენსიური ზრდის ფონზე სანაოსნო საშუალებები და ნაოსნობის სახეებიც ვითარდებოდა, რომელიც მცირე და დიდ საკაბოტაჟო საერთაშორისო და სამდინარო ნაოსნობას მოიცავდა, რამაც, შესაბამისად, სანაოსნო მოსაკრებელთა სახეები წარმოქმნა. დღეს ბათუმის საზღვაო ნავსადგური თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური ტიპის საკონტეინერო, საბორნე და გენერალური ტვირთების ნავსადგურია, რომელიც ევროპა-კავკასია-აზიის კორიდორის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. შავ ზღვაზე მისი ძირითადი კონკურენტები არიან: უკრაინული – ოდესისა და ილიჩევსკის, ხოლო რუსული – ნოვოროსიისკისა და ტუაფსეს პორტები. ბათუმის პორტის უპირატესობა არის ის, რომ უკრაინის აკვატორია ზამთარში იყინება, ხოლო რუსეთის პორტებში, ზამთრის პერიოდში, ხშირია ძლიერი ქარები. ბათუმის პორტს ამჟამად 35 სახეობის ნავთობის და ნავთობპროდუქტების გადატანა შეუძლია, რაც სხვა პორტებთან შედარებით მისი ძირითადი უპირატესობაა. ნავსადგური გამოიყენება, როგორც მთავარი სატრანზიტო ნავსადგური ყაზახეთისა და აზერბაიჯანის ნავთობის გადასამუშავებლად. ნავსადგურს ხუთი ტერმინალი გააჩნია: ნავთობტერმინალი, მშრალი ტვირთის ტერმინალი, საკონტეინერო ტერმინალი, სარკინიგზო-საბორნე გადასასვლელი და სამგზავრო ტერმინალი. აღნიშნული ტერმინალები აღჭურვილია სათანადო ამწე-მოწყობილობებით, რაც ხელს უწყობს ტვირთების დროულ და ხარისხიან გადამუშავებასა და ნავსადგურის კლიენტთა მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

2023 წლის მდგომარეობით ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიერ ჯამში 1 007 700 ტონა სხვადასხვა სახეობის ტვირთის გადატანა განხორციელდა, რაც წინა წლებთან შედარებით საგრძნობლად გაზრდილია. ბათუმის საზღვაო ნავსადგურს უფლება აქვს გადაიტანოს შემდეგი სახის და რაოდენობის ტვირთი:



ბათუმის ნავსადგურთან მდებარეობს აგრეთვე ბათუმის იახტკლუბი, საიდანაც მოსახერხებელია ბულვარისა და ბოტანიკური ბაღის მიმართულებით გემით გასეირნება. ასევე, ბულვარის გასწრივ შესაძლებელია ქალაქისა და ზღვის ხედით დატკბე, ხოლო ბოტანიკური ბაღის მიმართულებით მთებით, ბუნებითა და ზღვის ჰორიზონტით ისიამოვნო.

ბათუმის ნავსადგური ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოპულარულ საკრუიზო მიმართულებას წარმოადგენდა. 2006 წლიდან ბათუმის პორტი ხმელთაშუა ზღვის საკრუიზო პორტების ასოციაციის „MEDCRUIS”-ის წევრია, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აჭარაში საკრუიზო ტურიზმის განვითარებას. 2008 წლის თებერვალში სს „ყაზტრანსოილის" შვილობილმა კომპანიამ – შპს „Batumi Industrial Holding”-მა ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსკლუზიური მართვის უფლება 49 წლით მიიღო და ბათუმის ნავთობტერმინალის აქციების 100%-იანი პაკეტი შეიძინა.

2014 წელს აჭარის შავიზღვისპირეთს უპრეცედენტო ზომის საკრუიზო ხომალდი ეწვია. მსგავსი სიდიდის ხომალდს რეგიონი პირველად მასპინძლობდა. იგი რუმინე-

თიდან საქართველოში ერთი დღით შემოვიდა, აჭარის შემდეგ კი გეზი სტამბოლის მიმართულებით აიღო. საკრუიზო ხომალდ „Riviera”- ზე 1250 ტურისტი და 600-მდე ეკიპაჟის წევრი იმყოფებოდა, მათ სხვადასხვა საექსკურსიო პროგრამით ადგილობრივი ტურისტული კომპანია მოემსახურა.

აჭარის სათემო და სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურა

სამთო-სათხილამურო კურორტი „გოდერძი” საქართველოს მაღალმთიან აჭარაში, გოდერძის უღელტეხილზე, ზღვის დონიდან 2027 მეტრზე მდებარეობს. შავ ზღვასთან სიახლოვის გამო ეს ადგილი უხვი ნალექით გამოირჩევა, რაც კურორტს მეტად მიმზიდველს ხდის. კურორტი „გოდერძი” განსაკუთრებულია შთამბეჭდავი ბუნებით, ულამაზესი ხედებით, სუფთა ჰაერით და მრავალფეროვანი ლანდშაფტით. გოდერძის სათხილამურო კურორტი 2015 წლის დეკემბრიდან ფუნქციონირებს. ინფრასტრუქტურა ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზეა. კურორტზე განთავსებულია რამდენიმე სასტუმრო და 70 ადამიანზე გათვლილი 6 კოტეჯი. კურორტიდან 3 კილომეტრში, სოფელ დანისპარაულში საოჯახო ტიპის სასტუმროებია განლაგებული. კურორტზე რამდენიმე სწრაფი კვების ობიექტი და რესტორანია მოწყობილი. აქვე შეძლებთ იქირაოთ სასრიალო აღჭურვილობა, მაღალი გამავლობის სპეციალური ტექნიკა. გოდერძის უღელტეხილი დამსვენებლებს მთელი წლის მანძილზე მასპინძლობს. ზაფხულში ვიზიტორებს შესაძლებლობა აქვთ სხვადასხვა აქტივობები მოაწყონ – ილაშქრონ, როგორც ალპურ, ისე ტყიან ზონაში, ისეირნონ ცხენითა და ველოსიპედით, დაადგემოვნონ სამკურნალო-მინერალური წყლები, შეძლონ მსოფლიოში ერთ-ერთი უნიკალური გოდერძის ნამარხი ტყისა და საუცხოო მწვანე ტბის, ასევე, ერთ-ერთი X-XI საუკუნის ისტორიული ძეგლის, ხიხანის ციხის მონახულება. აქვე ახლოს მდებარეობს კურორტი ბეშუმი, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს ტურისტებში.

კულტურული ტურიზმი

ოსმალეთის იმპერიის, ბრიტანული ოკუპაციისა და საბჭოთა ეპოქის მომსწრე ბათუმის არქიტექტურამ და ყოფამ სხვადასხვა ეროვნების, რელიგიისა და კულტურის ადამიანთა ცხოვრების წესი აირეკლა. ამ ერთ პატარა ქალაქში მოგზაურობა სხვადასხვა ეპოქასა და კულტურაში მოგზაურობას ნიშნავს. რეგიონის ისტორიულ-კულტურულ სიმდიდრეს ადასტურებს როგორც აჭარის ტერიტორიაზე შემორჩენილი უძველესი ძეგლების ნაშთები, ისე სხვა ტიპის თვითმყოფადი კულტურული მემკვიდრეობა. უძველესი დროიდან იღებს სათავეს თითქმის მთელ მსოფლიოში ცნობილი ქართული ფოლკლორის გამორჩეული ცეკვები „ხორუმი" და „აჭარული", რომლებიც ჩვენი რეგიონის იდენტობის საუკეთესო გამოხატულებაა.

აჭარა თავისი მრავალფეროვანი ისტორიულ-კულტურული ძეგლებით, ფესტივალებითა და კულტურული ღონისძიებებით კულტურული ტურიზმის მოყვარულთათვის ნამდვილი აღმოჩენაა. აჭარაში კულტურული ღონისძიებების ეპიცენტრი ბათუმია. იგი ყოველწლიურად მნიშვნელოვან კულტურულ, სპორტულ და სამეცნიერო

ღონისძიებებს, სახალხო დღესასწაულებს, საერთაშორისო მუსიკალურ თუ კინო ფესტივალებს მასპინძლობს. ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფესტივალი შავი ზღვის ჯაზ-ფესტივალია, რომელიც ყოველ ზაფხულს ბათუმში ჯაზის მსოფლიო ვარსკვლავებს უყრის თავს. ბოლო 10 წლის განმავლობაში ბათუმს ისეთი პოპულარული შემსრულებლები სტუმრობდნენ, როგორებიცაა „ჯამიროქუაი", „მეისი გრეი", „პროდიჯი", „ქუინსი ჯონსი", „სნუუპ დოგი", „ლორინ ჰილი", „ჯო სთოუნი", „დე ლა სოული", „Maroon 5, Sting", „ერიკა ბადუ" და სხვები. ყოველი წლის სექტემბერში ბათუმში საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი, BIAFF-ი იმართება, კინოს მოყვარულებისთვის ნამდვილი დღესასწაული, რომელიც საავტორო კინოს მაყურებლებს წლის საუკეთესო კოლექციებს სთავაზობს.

ღონისძიებები:

შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი (ივლისი);
საავტორო კინოს საერთაშორისო ფესტივალი – "Biaff" (სექტემბერი);
ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი – "Tofuzi" (ოქტომბერი);
ბათუმის კლასიკური მუსიკის ფესიტვალი – „ღამის სერენადები" (აგვისტო);
ბათუმის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი (ივლისი);
სტრიტ არტის ფესტივალი;
გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების საერთაშორისო ფესტივალი (სექტემბერი);
სოფლის ტურიზმის ფესტივალი – „განდაგანა"(ოქტომბერი);
ზაფხულის ფესტივალი (ივნისი);
რეკლამის საერთაშორისო ფესტივალი – Ad Black Sea;
შავი ზღვის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი (აგვისტო-სექტემბერი);
ფესტივალი – „აღდგომიდან ამაღლებამდე" (მაისი-ივნისი);
მონოპიესების ფესტივალი;
საერთაშორისო თეატრალული ფესტივალი – „დებიუტი";
მართლმადიდებული ფილმების საერთაშორისო ფესტივალი – „წმინდა ანდრიას ჯვარი".

სახალხო დღესასწაულები:

ქობულეთობა (ივნისი);
კოლხობა (აგვისტო);
მაჭახლობა (სექტემბერი);
ქედელობა(ოქტომბერი);
სელიმობა (ივნისი);
შუამთობა (აგვისტო);
ჩაქვისთაობა (სექტემბერი);
შემოდგომა ქედაში (ოქტომბერი).

ეკო ტურიზმი

აჭარაში იმართება ასევე გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვების ფესტივალი: თვალწარმტაცი სანახაობა, როცა აჭარის ცას მილიონზე მეტი მტაცებელი ფრინველი გადაუფრენს. მსგავს რამეს მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ადგილას თუ ნახავთ. გადამფრენ ფრინველებსა და ნოტიო სუბტროპიკული ტყეების იარუსებად გაზრდილ

მცენარეებზე დაკვირვება, ულამაზეს ტბებზე ლაშქრობა, კულტურული ძეგლების, ტაძრებისა და თაღოვანი ხიდების დათვალიერება, ფეხით და ცხენით აჭარის საოცარ სოფლებში გასეირნება – ეს არასრული ჩამონათვალია იმ კულტურული ეკოტურისტული აქტივობებისა, რომლითაც შესაძლებელია გაერთოთ.

აჭარის ლანდშაფტი შესანიშნავ საშუალებას იძლევა ლაშქრობების მოსაწყობად, საცხენოსნო, სამეცნიერო და ეკო-ტურების გასამართად. მოვლილი, მაგრამ ხელუხლებელი ბუნება, მდიდარი მწვანე გარემო, ჩანჩქერები, ტბები და მდინარეები, ნაკრძალები – ენდემური და რელიქტური სახეობებით, მთები, რომლებიც ცასთან გაახლოებს და ზღვა – უნიკალური სამყაროთი ტურიზმის ამ სახეობის მოყვარულთათვის ნამდვილ სამოთხეს წარმოადგენს.

ეკო ტურიზმი აჭარაში ტურიზმის ერთ-ერთი წამყვანი სახეობაა. უცხოელი ტურისტების დიდ ნაწილს აჭარაში სწორედ ეკო ტურიზმი იზიდავს. აჭარის მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა, ასევე, ისტორიულ-კულტურული ძეგლების სიმრავლე ეკო ტურიზმის განვითარებისათვის საუკეთესო პირობებს ჰქმნის.

დასკვნა

ბოლო ხანებში ქალაქ ბათუმში, განსაკუთრებით, ბათუმის ძველ უბნებში, აღდგენილი და რეკონსტრუქტირებული იქნა XIX საუკუნის შენობა-ნაგებობები, თუმცა სამომავლოდ ძველი ქალაქის ზოგიერთი მონაკვეთების რეაბილიტაცია აუცილებელია, რადგან მთელი რიგი უბნის სახე მოკლებული იყო ყოველგვარ გამომსახველობას. აქ სპეციალისტების მიერ გარკვეული რეკომენდაციებიც შემუშავდა, რომლებიც ასე გამოიყურება:

- ნოდარ დუმბაძის ქუჩის შემთხვევაში რეაბილიტაციის შედეგი არის დადებითი, რადგან ქუჩის დღევანდელი სახე ადრინდელზე უკეთესია, ნაგებობათა სტილისტური გადაწყვეტა შეესაბამება ისტორიული ქსოვილის ესთეტიკას.
- ერას მოედანი 90-იან წლებში ჩატარებული „რეკონსტრუქციის" შედეგად, ძალზე უსახური იყო. ამჟამად მდგომარეობა გამოსწორდა, მაგრამ ძველთან შედარებით მისი დღევანდელი სახე გაცილებით კაზმული და მდიდრულია. მნიშვნელოვნად შეიცვალა აფთიაქის შენობა, ზოგიერთი ნაგებობა კი ინარჩუნებს პირვანდელ დეკორს და ახალი დეტალები არ ცვლის მის სტილისტურ სახეს, რაც დადებითი მომენტია.
- პიაცამ შეიძინა ახალი სიცოცხლე, იგი გახდა ისტორიული ქალაქის ერთ-ერთი ყველაზე ევროპული ნაწილი. საბჭოთა პერიოდის უსახური ნიმუშის ნაცვლად მივიღეთ საინტერესო, ეკლექტური მოედანი „იტალიური" არქიტექტურის სტილში.
- ძველი ბათუმის უბნებში დადებითად უნდა შეფასდეს ქუჩების მოწესრიგება, ფეხით მოსიარულეთა ზოლის გაზრდა და მოკირწყლული ქუჩების ტრადიციის აღდგენა.

- ბულვარის ახალი სანაპირო ზოლი, რომლის დაგეგმარება და მხატვრული გადაწყვეტა ახალი სიტყვაა ბათუმის ბულვარის ისტორიაში.
- ძველი ქალაქის ესთეტიკურ მხარეს ზრდის ღამის განათების სისტემა, რომელიც შესრულებულია გემოვნებითა და პროფესიონალიზმით.

პრობლემები:

- საბჭოთა პერიოდში – გასული საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში აგებული არაერთი ტიპური საცხოვრებელი სახლი მდებარეობს, რომელთაც რაიმე მხატვრული ღირებულება არ გააჩნიათ. მათი უმეტესობის შიდა ეზოს მხარეები უსახურია, რომელთა თავდაპირველ იერსახეს გვიანი მიშენებები და უსისტემო ლოჯიები არღვევს. საერთოდ, ამგვარ ნაგებობათა დიდი ნაწილი ხუთსართულიანია, რომელთა უმეტესობა ფაქტიურად ჩართულია ისტორიულ განაშენიანებაში, ხოლო უფრო გვიან ნაგები ცხრა და თორმეტ სართულიანი შენობების საფასადო ნაწილი არქიტექტურულად არაფრისმთქმელია და ქალაქის ვერც თანამედროვე და ვერც ისტორიულ განაშენიანებაში ვერანაირად ვერ ჯდება;
- ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქალაქგეგმარების და სწორი ინფრასტრუქტურული განვითარების ერთ-ერთი პრობლემური საკითხია ქალაქის განაშენიანების გენერალური გეგმის არქონა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს ქალაქის ისტორიული ადგილების – შენობებისა და ქალაქური ტიპის ნაგებობების თანაბრად განვითარებას;
- ქალაქ ბათუმში საყურადღებოა იმ ნაგებობების რეკონსტრუქციისა და რეაბილიტაციის აუცილებლობა, რომლებიც ქალაქს ისტორიული კუთხითაც მიმზიდველს ხდის;

რეკომენდაციები:

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ ბათუმის სივრცის დაგეგმარებისა და გენერალური გეგმის კონცეფციაზე მუშაობა მიმდინარეობს, რომლის მიხედვით ქალაქის განაშენიანება და გამწვანება სისტემატიზირებულად დამტკიცებული გეგმის მიხედვით მოხდება.

ბათუმის თანამედროვე განაშენიანების ფონზე მნიშვნელოვანია:

- მოეწყოს მეტი გამწვანებული სივრცე, რათა ბათუმს მულტიფუნქციური და გამწვანებული ქალაქის იერსახე შეუნარჩუნდეს;
- ქალაქის ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით აუცილებელია სხვადასხვა პროგრამებით ხელი შეეწყოს თანამედროვე ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვას;
- ქალაქის სწორი განვითარებისთვის საჭიროა სრულად მოხდეს შემოერთებული ტერიტორიების ინტეგრაცია და მოძველებული ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება;

- ქალაქის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებისთვის გადამწყვეტია ბათუმის ღია ნაგავსაყრელის, რომელიც მდინარე ჭოროხის შესართავთან შავი ზღვის სანაპირო ზოლის სიახლოვეს მდებარეობს, დროული ლიკვიდაცია და ნაგავსაყრელის სხვა სპეციალურ დანიშნულების ადგილზე გადატანა;
- სასურველია ძველი ქალაქის ისტორიული თავისებურების – პერიმეტრის ხაზისა და ქუჩის უწყვეტი ზოლის შენარჩუნება. ისტორიული ქალაქისათვის ქუჩაში მკვეთრად გამოსული, შვერილი შენობები ნაკლებად არის სახასიათო;
- კარგი იქნება თუ ძველ უბნებში ძალიან მაღლივი შენობები არ ჩაიდგმება;
- სასურველია ავთენტური, თავდაპირველი სახით დაცული იქნას ძველი ბათუმის ყველა მხატვრულად გამორჩეული, ანუ ძეგლის სტატუსის მქონე ნაგებობა;
- ძველი უბნების რეაბილიტაციის შედეგად, გარკვეულწილად, წაიშალა ზღვარი ნაგებობის ძველსა და ახალ ნაწილებს შორის, თუმცა რესტავრაციის დროს, ზოგიერთ შემთხვევაში, არ უნდა იყოს ურიგო მათი განსხვავების წარმოჩენაც, თუმცა, ეს დამოკიდებულია რეაბილიტაციის პროექტისა და რესტავრატორის კონცეფციაზე;
- ქვეყანაში რეგიონის პოზიციის შესანარჩუნებლად და შავი ზღვის აუზის ქვეყნების მასშტაბით კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად უპრიანია ბათუმის საზღვაო ნავსადგურის სრული ათვისება და სხვადასხვა მიმართულებით გამოყენება, მათ შორის საკრუიზო, თევზჭერისა და აკვაკულტურის მიმართულებით;
- ბათუმის ნავსადგურში საკრუიზო ხომალდების არარსებობდა უმეტესწილად ინფრასტრუქტურული პროექტების და მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელებასთან, ასევე, გეოპოლიტიკურ მოვლენებთანაა დაკავშირებული. აჭარაში საკრუიზო გემები, ძირითადად, თურქეთისა და ყირიმის გავლით შემოდის. აღნიშნულ რეგიონებში არსებული დაძაბული სამომარი და პოლიტიკური მდგომარეობა კი – აჭარაში საკრუიზო გემების შემოსვლაზე გადამწყვეტ როლს თამაშობს;
- აჭარის რეგიონში საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნით შემუშავებული უნდა იქნეს საკრუიზო ტურიზმის განვითარების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც საკრუიზო გემების მისაღებად შესაბამისი ინფრასტრუქტურა უნდა შეიქმნას. უნდა მოხდეს ნავმისადგომების რეაბილიტაცია და განხორციელდეს საოპერაციო საქმიანობის მოდერნიზაცია, რაც საბოლოოდ 300 მეტრზე მეტი სიგრძის გემების მიღების საშუალებას შეუწყობს ხელს;
- უნდა გატარდეს სარეკლამო და მარკეტინგული ღონისძიებები, რათა შავი ზღვის ქვეყნების ერთიან პლატფორმაში ბათუმის ნავსადგურის პოზიციონირება მოხდეს. აქვე, მნიშვნელოვანია სამართლებრივი მხარის მოწესრიგება, რათა შემდგომში თავიდან ავიცილოთ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის ექსკლუზიური მართვის უფლებით გრძელვადიან მმართველობაში სხვა უცხოურ კომპანიებზე გაცემა. კერძო სექტორს უნდა მიეცეს საშუალება თევზჭერის ლიცენზია მიიღოს, მოაწყოს

აკვაკულტურის განვითარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა საკრუიზო მარშუტები განავითაროს;

გოდერძის უღელტეხილზე მდებარე კურორტების მთავარი უარყოფითი მხარეა გზის სირთულე, კურორტზე გასართობი საშუალებების, კვების ობიექტებისა და სასტუმროების ნაკლებობა. გარდა დასასვენებელი და გასართობი საშუალებებისა რეგიონის განვითარება სხვა მიმართულებითაც არის საჭირო. მაღალმთიანი აჭარის ტურიზმის სამთო-სათხილამურო ინფრასტრუქტურის განვითარების და ეკონომიკური პოტენციალის გაზრდის მიზნით, გოდერძის უღელტეხილზე კულტურული ტურიზმის ფართო პერსპექტიული გეგმა უნდა შემუშავდეს, რათა ადგილობრივი თუ უცხოელი ტურისტებისთვის აჭარის მთა უფრო მიმზიდველი გახდეს. გოდერძის უღელტეხილი და მისი შემოგარენი არაერთ კულტურულ ძეგლს შეიცავს. ისინი ძალზე საყურადღებოა არა მარტო კონკრეტულად სამეცნიერო-კვლევითი, არამედ მხარის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციისა და მისი ტურისტულ მარშრუტში ასახვის თვალსაზრისით, რაც ეკონომიკურ მხარეზეც პოზიტიურად იმოქმედებს.

REFERENCES

Baramidze, 2016: R. Baramidze. Resorts and tourism. - Adjara, touristic-local history resources, Batumi.

Barbakadze, 2019: G. Barbakadze. Problems and prospects of tourism development in Shida Kartli. - Master's dissertation, Tbilisi.

Braund, 2012: D. Braund. Ancient Batumi, Apsarus and the Kingdom of Iberia: Geography and Recent Archaelogy. – Batumi, II, Past and Present, Batumi.

Bregadze, 2018: G. Bregadze. Priorities of Formation of Economic Policy for Tourism Development. - Doctoral dissertation, Tbilisi.

Gvelesiani, 2011: R. Gvelesiani. Features of the process of implementing the priorities of economic policy. - Economy and business, January-February, №1, Tbilisi.

Gogolishvili, 2009: O. Gogolishvili .The Architectural Project of the Town of Batumi at the End of the XIX Century (The Projects Composed by G. Rcheulishvili and P. Lipinski). – Batumi, The Past And Modernity, I, Batumi.

Gulua. Arghutashvili, 2012: E. Gulua, V. Arghutashvili. Modern directions of innovative management in the sphere of tourism. - III International scientific and practical conference, Batumi.

Erkomaishvili, 2010: G. Erkomaishvili. The Impact of Economic Policy on the Development of Tourism Business in Georgia. - International scientific and practical conference I, Batumi.

Kakhidze, 2009: A. Kakhidze. Batumi and its environs BC. 1st millennium (Batumi Castle). - Batumi, past and present, I, Batumi.

Kvaratskhelia, 2007: N. Kvaratskhelia. The role of the state in the development of tourism. - Economy of Georgia, №11, Tbilisi.

Mamuladze, Uzunadze, 2009: Sh. Mamuladze, R. Uzunadze. Batumi In The Middle Ages (According to Written Sources and Archaelogical Materials). – Batumi, The Past And Modernity, I, Batumi.

Margvelashvili, 2013: M. Margvelashvili. Tourism development strategy, Tbilisi.

Mgeladze, Putkaradze, 2008: N. Mgeladze, T. Putkaradze. Population dynamics, ethno-confessional and social structure. – Profiles/Essays on the history of South-West Georgia - Adjara, Volume III, Batumi District - 1877-1920, Batumi.

Mgeladze, Loria, 2009: N. Mgeladze, M. Loria. Current Religious Picture of Batumi (Catholics, Gregorian, Muslims, Jewish, Orthodox Greeks). – Batumi, The Past And Modernity, I, Batumi.

Mgeladze, Tchitchileishvili, 2010[1]: N. Mgeladze, M. Tchitchileishvili. Preliminary report on historical-ethnographic, architectural and artistic-aesthetic observations of the reconstruction and modern development of old districts of the city within the framework of the project of rehabilitation of old districts of Batumi. - Manuscript, personal archive of Nugzar Mgeladze, Batumi.

Mgeladze, Tchitchileishvili, 2010[2]: N. Mgeladze, M. Tchitchileishvili. Recommendations for the development of old Batumi and the rehabilitation of old buildings. - Manuscript, personal archive of Nugzar Mgeladze, Batumi.

Meskhia, 2011: I. Meskhia. "Strategy of tourism development in the system of economic priorities of Georgia, II international scientific-practical conference, Batumi.

Metreveli, 2001: M. Metreveli. The modern state of tourism and its development prospects in Georgia. - Dissertation, Tbilisi.

UNWTO World Tourism Barometer, June 2008: World Tourism Organization.

Uzunadze, 2008: R. Uzunadze. Sea transport. - Profiles/Essays on the History of Southwest Georgia - Adjara, Tomik III, Batumi District - 1877-1920, Batumi.

Uzunadze, 2009: R. Uzunadze. First Steps towards Formation and Development of Urban Settlements in Modern Batumi (Early 19 c. – 1870 es).

Korghanashvili, 2010: L. Korghanashvili. Tourism business, Tbilisi.

Shubladze, 2004: V. Shubladze. Macroeconomic regulation mechanism of tourism development in Georgia. - Dissertation, Tbilisi.

Chichileishvili, 2009: M. Tchitchileishvili. Some Issues Of Artistic Style of Old Batumi Architecture. – Batumi, The Past And Modernity, I, Batumi.

Tchitchileishvili, 2013: M. Tchitchileishvili. Iconic architecture of old Batumi (to establish a general picture). - Batumi, Past and Modernity, III, Batumi.

Tchitchileishvili, 2013: M. Tchitchileishvili. The urban face of Batumi at the turn of the XIX-XX centuries. - Batumi, Past and Modernity, III, Batumi.

Tchitchileishvili, 2016: M. Tchitchileishvili. Monuments of iconic architecture of Batumi. - Adjara, touristic-local history resources, Batumi.

Khokhobaia, 2014: M. Khokhobaia. Methodological bases for determining the impact of tourism on the economy. - Economy and business, November-December, Tbilisi.